პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! სამშაბათი, 17 თებერვალი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 37 (725) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ...ას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

...ჩვენ წითელ-ჯარში ხშირად ...რდება სხვა და სხვა სახის ...მპანიები. აგრეთვე თითეული ...წილი ყოველთვის დიდ მზა ...ებაში არის რომელიმე მომა... ...ლ რევოლიუციონურ დღე... ...წაულისათვის. ყოველივე ...ს ჩვენი ჯარის ცხოვრებაში ...დი მნიშვნელობა აქვს.

...კამპანიის ნაყოფიერად ჩა... ...რება ან დღესასწაულის ღი... ...ეულად აღნიშვნა სავსებით ...მოკიდებულია ნაწილის ენე... ...იისაგან და მუყაითობისა... ...ნ.

...ეს გარემოება ერთგვარი სა... ...მია წითელი არმიის აქტი... ...ბისა, წითელ-არმიელთა შე... ...ების და გათვითცნობიერე... ...ს ზრდისა. ავიღოთ მაგალი... ...დ მიმდინარე „წიგნისა და ...ბლიოთეკის კამპანია“. თითე... ...ლმა ჩვენთაგანმა იცის თუ ...მდენათ დამოკიდებულია ამ ...მპანიის ჩატარება თვით ნა... ...ლებისაგან. თუ ნაწილის მო... ...უშავეები და თვით წითელ-არ... ...ელები ხალისიანად ეკიდებიან ...კამპანიას, თუ ისინი აქტი... ...ი მონაწილეობას იღებენ მის ...ტარებაში—კამპანიის წარმა... ...ბით დამთავრებაც უზრუნ... ...ყოფილია. შემდეგ ყველა ...წილს თავ თავისი წვლილი ...აქვს კამპანიის ჩატარების ...რომაში, რაც საჭიროა გაუ... ...რდეს სხვებსაც.

...უნდა ითქვას რომ დღემდის ...ლა ამას ჩვენი სამხკორები ...რადღებას არ აძლევდენ და ...ლიად არ აშუქებდენ დაწ... ...ლებით კამპანიის მსვლე... ...ობას. ავიღოთ თუნდაც ზე... ...ო მოყვანილი მაგალითი. ...ი კვარაა, რაც დაიწყო „წი... ...ს და ბიბლიოთეკის“ კამპა... ...ნია. ჩვენ ერთი კორესპონდენ... ციაც არ მიგვიღია იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ამ მხრივ ნაწილები, თუ სწარმოებს რაიმე მუშაობა ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლად, როგორ შეხვდენ ამ კამპანიას წითელ-არმიელები, დაინტერესდენ ისინი ამით, გაიზარდა თუ არა მათში მეტი პატივისცემა ბიბლიოთეკისადმი, წიგნისადმი და სხვა. ჩვენი სამხკორისათვის აქ დაულეველი წყაროა საკორესპონდენციო მასალისა. სამხკორები კი ჩვეულებრივად ასე სწერენ: ამ დიად დღეს მოხდა ჩვენს ნაწილში მიტინგი, ილაპარაკა სამხკომმა და სხვებმა. და შემდეგ დაწვრილებით მოთხრობილია ის რაც ილაპარაკეს. განა ეს საკმარისია?

ყველამ ვიცით, რომ რევოლიუციონურ დღესასწაულის დღეს ლაპარაკობენ კრებაზე. საჭიროა დაიწეროს ისიც, როგორ შეხვდა, როგორ ემზადებოდა ნაწილი დღესასწაულისათვის და სხვა. თუ მაგალითად ნაწილში არაფერი არ კეთდება ამ მხრივ ესეც უნდა დასწეროს სამხკორმა და მით ხელი შეუწყოს ამა თუ იმ კამპანიის ან დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებას თავის ნაწილში.

თითეული ნაბიჯი, თითეული მუშაობა ნაწილის, რომელიც ახასიათებს მის აქტივობის ზრდას მის მიღწევებს უნდა იქნას ჩვენი სამხკორის მიერ შინაარსიანად გაშუქებული. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სამხკორებმა და გამოასწორონ ეს დიდი ნაკლი თავის მუშაობაში.

## აშმორებული ჭაობი.

### (ამხ. სტეკლოვის წერილი „იზვესტიადან“)

...ამხ. სტეკლოვი ჩამოსთვლის ...მანიის სოციალ—დემოკრა... ...ის საზიზღარ საქმეთა მთელ ...ბას (ბავარიის სოციალ-დე... ...კრატიის ბელადის საქმე, რუ... ...ს მრეწველებზე 700 მილი... ...ი ოქროს მარკის მიცემა გე... ...ნიის ხაზინიდან, ბარმატის ...მე), შემდეგ ჩერდება „გე... ...ნიის ჩეკას“ პროცესზე და ...ობს:

„მთელი ეს გაბერილი პრო... ...ი ცაგებულია პროვოკატო... ...ის ჩვენებებზე. ამ პროვო... ...ტორებიდან ერთი მთავარი ...თ და იმავე დროს პროვო... ...ტორიცაა და სულით ავად... ...ფი,— ესეც ეხლა აშკარა ...მა. მაგრამ ამ შეშლილო... ...იაც არის თავისი სისტემა.

ერთის მხრივ აქ ჩვენ ვხედავთ შეშინებული ბურჟუაზიისა და გახრწნილი სოციალ—დემოკრატიის შურისძიებას მუშათა ავანგარდის მიმართ, რომელიც დაუზოგავად ამჟღავნებს და აშკარავებს ძირმომპალ კაპიტალისტურ ქვეყანას და არ სწყვეტს თავის ბრძოლას თანამედროვე რეჟიმის წინააღმდეგ, სადაც მეფობენ ფაშისტური მკვლელები, სპეკულიანტები და ამ სპეკულიანტების ხარჯზე მცხოვრები სახელმწიფო თანამდებობის პირები.

მეორეს მხრივ მთელი ამ პროცესის ინსცენიროვკა, მთელი სპეციფიური სული, რომელიც სურთ მისცენ მას გერმანიის ოხრანნიკებმა სოციალ—დემოკრატ რიხტერის მეთაურობით (ძასაც ბრალი ედება მექრთამეობაში) და გერმანიის ფაშისტური იუსტიცია—მოწმობს იმას, რომ გერმანიის მმართველ წრეებმა ერთხმად გადასწყვიტეს ერთგვარი დახმარება გაუწიონ მსოფლიო—რეაქციას და განსაკუთრებით, ინგლისის კონსერვატორულ კაბინეტს. უკანასკნელი გაშმაგებით ეძებს კომინტერნის „ჭერქვეშ“ მუშაობის დამამტკიცებელ საბუთებს.

ლეიპციგის მოქმედება სცდილობს მისცეს ხელში ბრიტანეთის კონსერვატორებსა და საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს მოწამლული იარაღი, რომელიც სამსახურს გაუწევს მათ მიზნებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლეიპციგის: პროცესიის ინსცენიროვკების „კეთილი“ მიზანი ვერ იქნება განხორციელებული. მაგრამ ჩვენთვის მაინც ნათელია, რომ ბურჟუაზიული აშმორებული ჭაობის პროცესი შეხმატკბილებულია. საიდუმლოებათა გამოაშკარავებასთან ბარმატის საქმე: ეს ერთი და იმავე „მედალის“ ორი მხარეა.

ხოლო მთელი ეს სურათი გვიხატავს იმ საზოგადოების მორალურად გახრწნის სურათს, რომელიც განწირულია ისტორიის მიერ და სცდილობს ხელოვნურად გააგრძელოს თავისი არსებობა ცილის წამებითა და გახრწნილი გზების საშუალებით.“

## სუნ-იატ-სენის ჯანმრთელობა.

სუნ-იატ-სენის ჯანმრთელობაში ცვლილება არ მომხდარა.

## ჩინეთის რკინის გზელთა ყრილობა.

ჩინეთის რკინის გზელთა ყრილობა, რომელიც გაიხსნა 7 თებერვალს, დასრულდა 11 თებერვალს.

ყრილობაზე აღნიშნულ იქნა, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის რკინის გზელთა პროფკავშირების უმეტესობა არა ლეგალურად არსებობს. ეხლა ხან ფინ-იეი-სიანმა ლიკვიდაცია გაუკეთა პეკინ-კალგანის რკინის გზელთა პროფკავშირს.

ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავისადმი და აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც იცავს პროფმოძრაობის მთლიანობას მთელ ქვეყნებში.

## ჩინეთის რკინის გზელთა გამარჯვება.

დასრულდა შან-ტუნგის (ჩინეთში) რკინის გზელთა გაფიცვები. კონფლიქტის გამოწვევის დამნაშავე—ადმინისტრაციის წევრები დაითხოვეს.

რკინის გზელთა ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა.

## რუმინეთის გაზეთები ურჩევენ მთავრობას თუ როგორ დაიმტკიცონ მონად ბესარაბია.

რუმინეთის გაზეთები გაცხოველებით არჩევენ საბჭოთა-იაპონიის შეთანხმებას.

გაზ. „ადევერული“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუმინეთის დიპლომატიამ უნდა ეცადოს დაამტკიცებინოს იტალიას ოქმი ბესარაბიის დამონების შესახებ. მაგრამ შიშობს გაზეთი—ძნელია ამის მიღწევა, ვინაიდან ყველა სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეშინიათ ბოლშევიზმის, მაინც სცდილობენ საბჭოთა კავშირთან დაახლოებას.

იტალია იცნობს რუმინეთის უფლებას ბესარაბიაზე იმ შემთხვევაში, თუ რუმინეთი მისცემს იტალიას რაიმე სარგებლობას.

ამასთან რუმინეთის მთავრობამ უნდა ეცადოს მშვიდობიანობის გამეფებას ქვეყანაში, ვინაიდან თუ ეს არ იქნება, არავინ არ იცნობს რუმინეთის უფლებას ბესარაბიაზეო.

## უცხოელი ჟურნალისტები ჩვენი გამასწორებელი სახლების შესახებ.

### ჩვენი გამასწორებელი სახლები არ ჰგავს ბურჟუაზიულ ქვეყნების საპატიმროებს.

ამ დღეებში ამერიკის, ინგლისის, და გერმანიის ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა ინახულა ნოვოსპასკის ქალთა გამასწორებელი სახლი და სხვა საპატიმროები.

ნოვოსპასკის გამასწორებელ სახლში ამერიკის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელმა, რომელსაც შეუერთდა დანარჩენი უცხელი ჟურნალისტებიც, განაცხადა: „მე გამაკვირვა სისუფთავემ წესრიგმა და ადმინისტრაციის კაცთმოყვარულმა მოპყრობამ პატიმრებზე.“

## პარიზის კომუნის დღისათვის.

### ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის ცირკულიარი.

ახალგაზრდა კომინტერნის აღმასკომმა დაუგზავნა ახ. კომინტერნის ყველა სექციებს ცირკულიარი, რომელშიაც წინადადებას იძლევა შეუდგენ ენერგიულ სამზადისს პარიზის კომუნის დღისათვის.

პარიზის კომუნის დღეს, 18 მარტს გაშუქებულ უნდა იქნას პარიზის კომუნის გაკვეთილები პროლეტარიატის ბრძოლისათვის. ყურადღების ცენტრად ამ დღეს უნდა იყოს ის დასკვნები, რომელიც უნდა გამოიტანოს პროლეტარიატმა პარიზის კომუნის ბრძოლის ისტორიულ ფაქტებიდან.

1905—17 წლების რუსეთის რევოლიუციამ და დასავლეთ პროლეტარიატის რევოლიუციონურმა მოძრაობამ 1918 წლის შემდეგ უნდა დაამტკიცოს კომუნის გაკვეთილების სისწორე და აღნიშნოს პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის შემდეგი გზა.

## ღია წერილი მაკდონალდს.

ინგლისის კომპარტიის მდივანმა ამხ. ინკპინმა გაუგზავნა მუშათა პარტიის მდივანს გენდერსონს ღია წერილი მაკდონალდისადმი.

წერილში ნათქვამია, რომ მუშათა პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე ყველა რეზოლიუციები კომუნისტების წინააღმდეგ გამოჰქონდათ მაკდონალდის გავლენის და დაჟინების გამო.

ამით მაკდონალდს სურს მოიხვეჭოს სიყვარული მმართველ წრეებში.

წერილში ნათქვამია აგრეთვე, რომ მაკდონალდის ცნობილი ნოტას გამო რაკოვსკისადმი, ლეგენდარული „ზინოვიევის წერილის“ შესახებ, მუშათა პარტიამ იგემა, ჯერ არ ნახული დამარცხება არჩევნებში.

### ჩვენ ძალას—ძალასვე უპირდაპირებთ.

შექმნილი მდგომარეობის გამო ამხ. ინკპინი ამბობს, რომ კომუნისტები ყოველგვარ ძალადობას უპირდაპირებთ ძალასო და თუ მუშათა პარტია მზათ იქნება ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ბურჟუაზიას გაფიცულებთან ბრძოლაში, მაშინ გაფიცულებს ეცოდინებათ თუ ვისთანა აქვთ საქმე.

## მოუსავლიანობასთან ბრძოლა.

საკავშირო სახკომ საბჭომ განსაზღვრა სათესლე ფონდი მოუსავლიანობასთან ბრძოლისათვის რ. ს. ფ. ს. რ—სა, საქართველოსა აზერბეიჯანისათვის 3. 59. 000 ფუთით და უკრაინისათვის კი 1. 115. ათასი.

# საქართველოს გასაბჭოების 4 წ. თავისთვის

## დადგენილება

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიისა საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის და წითელი არმიის 7 წლის თავის ზეიმის ჩატარების წესის შესახებ.**

1. თებერვლის 25 გამოცხადდეს დასვენების დღეთ.

2. მიეცეს წინადადება მაზალმასკომებს და სოოლქო აღმასკომებს მოაწყონ თავის პრეზიდიუმებთან ადგილობრივი კომისიები საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის და წითელი არმიის 7 წლის თავის გაერთიანებულ ზეიმის ჩასატარებლად, რომელშიაც შევლენ აღმასკომის, პარტკომის, პროფ-ორგანიზაციების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელნი.

3. ყველგან, წარმოებებთან, დაწესებულებებთან, სკოლებთან და სოფლებში მოეწყოს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი საქართველოში" და „წითელი არმია 7 წლის თავზე."

4. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების მშრომელთათვის სრულიად და სისწორით გაცნობის მიზნით მიეცეს წინადადება ყველა სახკომებს გამოაქვეყნონ გაზეთებში მოკლე ცნობები თავიანთ უწყებაში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

5. მიეცეს წინადადება ადგილობრივ კომისიებს მოაწყონ ყრილობები რაიონებში, სადაც აგიტატორები გააცნობენ დღის მნიშვნელობას. იქ, სადაც არიან სამხედრო ნაწილები მოეწყოს ალლუმი მუშათა დელეგატების მონაწილეობით.

**კომისია.**

---

## „ახალი მიწის" გამოკვლევა.

კუნძულ „ახალი მიწის" (ნოვაია ზემლია) გეოლოგიურ გამოკვლევის მიზნით სამეცნიერო აკადემია აგზავნის ექსპედიციას პროფესორ ვიტენბურგის მეთაურობით. ექსპედიციამ უნდა გადასჭრას კუნძული ბერინგოვოსა და წითელი ზღვის ნაპირებიდან.

---

## ნავთის გამოსახდელი ქარხანა ბათომში.

გადაწყდა ნავთის გამომხდელი ქარხნის გახსნა ბათომში. ქარხნის მოსაწყობი მასალები დაკვეთილი იქნა ამერიკაში. მუშაობაში ქარხნის აგებაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკელები. ქარხანა დამთავრებულ უნდა იქნას გაზაფხულის დასასრულს. ყოველდღიურად ქარხანამ უნდა დაამუშაოს 4.000 ფუთი ბენზინი.

---

# საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის მიმართვა ნაციონალურ რესპუბლიკებში და საბჭოთა აღმოსავლეთის ოლქებში სოსახლე ხალხებისადმი.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ გაანადგურა მეფის, კაპიტალისტებისა და ბეგების ბატონობა და გაათავისუფლა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხები ძველი ნაციონალური შეუღლისაგან.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაისახა მიზნად გამოაღვიძოს მშრომელი მოსახლეობის დამონავებული ნაწილი—აღმოსავლეთის მრავალმილიონიან მშრომელი ქალი და ჩააბას ისინი ახალი ცხოვრების ფერხულში.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი მოუწოდებს საბჭოთა აღმოსავლეთის ყველა ეროვნების მშრომელთ თვალყური ადევნონ გატარებულ იქნას ცხოვრებაში ქალთა უფლებების დამცველი კანონები და მიიღონ ყოველგვარი ზომები აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა მისაზიდავად სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის ქალს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას სახელმწიფოს ყოველ საფეხურის დაწესებულებაში. ამიტომ მან არ უნდა გაუშვას არც ერთი არჩევნები და მიიღოს შიგ მხურვალე მონაწილეობა.

კანონი სჯის იმ პირთ, რომლებიც ძალათ აიძულებენ ქალებს გათხოვებას დაწესებულ ასაკამდე. კანონი სჯის ქალის მოტაცებისთვის, ყალიმის გადახდისთვის, მრავალ ცოლიანობისთვის და საერთოდ ყველა იმისთვის, რაც ამცირებს ქალის მოქალაქობრივ უფლებებს.

ცენტრალური აღმასკომი მოუწოდებს დიდი ყურადღება მიაქციონ დედათა და ბავშვთა სახლებს, საბებიო პუნქტებს და სხვა.

საბჭოთა ორგანოებმა შეგნებული მოსახლეობის დახმარებით ხელი უნდა შეუწყოს მშრომელ ქალს გახდეს საბჭოების, აღმასკომების, პროფესიონალურ, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციების აქტიური წევრი.

ყველა საბჭოთა ორგანოებმა უნდა აუხსნან ნაციონალურ რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელ ქალებს ოქტომბრის რევოლიუციის მიერ მინიჭებული უფლებები და ბრძოლის უფლებები ბრძოლის წესები, ვინც აღნიშნულ უფლებებს დაარღვევს.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე

**ნარიმანოვი.**

მდივანი **ენუქიძე.**

მოსკოვი კრემლი 13 თებერვალი 1925 წ.

---

# სამხედრო საქმე

## გაწმენდილ გზაზე ადვილია შეტევაზე გადასვლა.

**რატომ სთვლის წითელი არმია შეტევაზე გადასვლას ბრძოლის საიმედო სახედ.**

ქვეითი ჯარი თვით იწყებს გზის გაწმენდას მოგერიებითი ბრძოლის მწარმოებელ მტრის მიმართულებით მხოლოდ 2 ნახევარი—3 კილომეტრის მიახლოვების შემდეგ. ამ მანძილზე მას უკვე შეუძლია გამოიყენოს ის იარაღი, რომელიც უკვე ხელთ აქვს (ტყვიამფრქვევები, შაშხანები).

მან უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ადრე მივიდეს (დაუახლოვდეს) ამ დისტანციამდე მტერთან.

ეს „დაახლოება", ე. ი. მოძრაობა რამოდენიმე ვერსით მტრისაკენ ქვეითა ჯარმა უნდა შეასრულოს თვალყურის დევნებით და არტილერიის ცეცხლის გაშვებით მტრის მიმართულებით.

უკანასკნელს, ცხადია, დაკავებული და გამაგრებული ექნება ქვეითისა და არტილერიისათვის საუკეთესო პოზიციები და მოწყობილი ექნება საუკეთესო საარტილერიო (სათვალთვალო) პუნქტები.

ქვეითი ჯარი მტერზე ფარულად მიახლოების მიზნით რასაკვირველია გამოიყენებს შენიღბვის ყოველგვარ ხერხს, ის წინ ივლის არა ღრმა კოლონებად, არამედ შეკრილი წყობილებით, ე. ი. ოცეულებად და ათეულებად.

მაგრამ ეს არ უზრუნველყოფს ქვეითა ჯარს მტრის არტილერიის ცეცხლისაგან. მას წინასწარ აქვს შესწავლილი და ცეცხლით მოშინჯული ჩაღრმავებული ადგილები, ხევები და სხვა ადგილები, რომლებიც ხელსაყრელია შეტევაზე გადასვლის დროს თავმოსაყრელად.

ვის შეუძლია და ვინ უნდა დაეხმაროს ამ „მიახლოების" პერიოდში ქვეითა ჯარს? ვისი იმედი უნდა ჰქონდეს მას?

ქვეითა ჯარს ჰყავს ერთგული და ძლიერი მეგობარი.

ეს არის არტილერია.

მას თავისი ცეცხლით უკვე შორი დისტანციიდან შეუძლია (მსუბუქს 8 და მძიმეს—ერთ კილომეტრიდან) თავზარი დასცეს მომგერიებულ მტერს და პირველ რიგში დაადუმოს ის არტილერია, რომელიც სცელავს მოახლოებულ ქვეითა ჯარის რიგებს.

არტილერიის მზვერავები იმყოფებიან წინ ქვეითა ჯარის მოწინავე ნაწილებთან ერთად და თავისი თვალდევნებით მიმართავენ ჩვენი ბატარეების ცეცხლს ქვეითისთვის საჭირო მიმართულებით.

ერთის მხრივ კარგი შენიღბვა და მეორეს მხრივ არტილერიის დახმარება მისცემს ქვეითა ჯარს საშუალებას მცირე მსხვერპლით მიუახლოვდეს მტერს, ჯერ დაზგიან ტყვიამფრქვევის შორი ცეცხლის დისტანციაზე, შემდეგ ხელის ტყვიამფრქვევისა და ბოლოს ახლო ცეცხლის მანძილზე.

ყველა ამ პერიოდებში არტილერიის მართალი ცეცხლი დიდ დახმარებას გაუწევს ქვეითი ჯარის წინსვლას შეტევაზე.

ხოლო არტილერიის ცეცხლის მოხდენილად გადატანა ჩვენი იერიშის დროს-მეორე ხაზზე, მტრის დამხმარე ძალებზე და არტილერიაზე, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეითი ჯარის გამარჯვებას არა მარტო იერიშის მომენტში, არამედ მისი განვითარების განმავლობაშიაც.

არტილერიის მიერ გაწმენდილ გზაზე ქვეითა ჯარისთვის ადვილია შეტევაზე გადასვლა.

**ს. კასიანოვი.**

---

# მუშიშარა და მატყუარა.

ჩვენ წითელ-არმიელებს ალბად ახსოვთ, რომ ამას წინად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ინგლისის პროფკავშირების მუშათა დელეგაცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეცნობოდა მუშურ-გლეხური ქვეყნის სინამდვილეს და ყველაფერი მართალი ეთქვა ინგლისის მუშებისათვის. ამ დელეგაციამ მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი, ინახულა მისი ვებერთელა ტერიტორიის ყველა მსხვილი ცენტრები, დაწვრილებით გაეცნო ყველაფერს და საკმაო მასალებით დატვირთული გაემგზავრა უკან. საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტია ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ საჭირო მასალების შეკრებაში. ინგლისის მუშების დელეგატებს აჩვენებდენ ყველაფერს, რასაც კი ისინი მოისურვებდენ. და აი როგორც მუშათა მიტინგებზე, თუ სხვა კრებებზე, ჩვენს გაზეთების ფურცლებზე, თუ კერძო საუბარში, ინგლისის მუშების დელეგატები მოგვითხრობდენ თავის განცვიფრებას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიღწევებზე და აღფრთოვანებით აღგვითქვამდენ, რომ ისინი იტყვიან სრულ სიმართლეს ჩვენი ცხოვრების შესახებ და იბრძოლებენ, როგორც ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების კავშირის განსამტკიცებლად, ისე მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის რიგების გასაერთიანებლად.

ეს დელეგაცია კარგი ხანია რაც ინგლისში ჩავიდა. და აი ისმება საკითხი შეასრულა მან თავისი დაპირება, სთქვა ყველაფერი მართალი და ხელს უწყობს ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დაახლოებას?

თუმცა მათი ვრცელი მოხსენება, რომელიც მათ გააკეთეს ინგლისის პროფკავშირების ღენერალურ საბჭოში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ის საშინელი ლანძღვა-გინება და სასტიკი იერიში, რომელიც მიაქვს ინგლისის ბურჟუაზიას და მთელ ყვითელ ინტერნაციონალს ამ დელეგაციის წინაამდეგ, ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ინგლისის დელეგაცია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და მტკიცედ სდგას მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის პოზიციაზე. მაგრამ როგორც იტყვიან ოჯახში ერთი ძახინჯიც გამოერევაო.

იმ დროს როდესაც ამ დელეგაციის წევრები მტკიცედ იბრძვიან თავის იდეებისათვის, მუშათა რიგების მთლიანობისათვის, ერთი მათგანი გამოდის მათ რიგებიდან და უსინდისოთ, საზიზღარ ცილისწამებებით ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინაამდეგ.

ვინ არის ეს ვაჟბატონი? ეს არის ჯონ ტერნერი. ეს ის ჯონ ტერნერია, რომელიც ხოტბას ასხამდა საბჭოთა ხელისუფლებას და დიდის რიხით გვპირდებოდა დახმარებას. და აი როგორ შეასრულა მან თავისი დაპირება. ინგლისის გაზეთების გადმოცემით ჯონ ტერნერი გამოვიდა განცხადებით, რომ „კომუნისტური საბჭოთა ხელისუფლება შიშით არის შეპყრობილი", რომ მას „არ ქონდა საშუალება დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბა პოლიტიკური პატიმართა შესახებ", რომ „ამ უკანასკნელთ საბჭოთა ხელისუფლება მეტისმეტად ცუდათ ეპყრობა" და სხვ. ერთი რეაქციონური გაზეთი იმასაც კი გადმოგვცემს, რომ ტერნერი ერთ მიტინგზე „საპროტესტო რეზოლიუციითაც" გამოვიდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური რეჟიმის წინაამდეგ.

მოვისმინოთ ეხლა ის, თუ რას ამბობდა ტერნერი საბჭოთა კავშიოში ყოფნისას.

აი რა სთქვა მან პოლიტიკურ პატიმრების შესახებ: „მე დავრწმუნდი, რომ მათი გამოშვება შეუძლებელია ციხიდან, ვინაიდან ისინი კვლავ დაიწყებენ თავისასო. საბჭოთა ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყანა ახალ აჯანყებებისა და სისხლის ღვრისაგან." ამასთანავე მან განაცხადა „რომ არც ერთ სახელმწიფოში მე არ მოგცემდენ ნებას ასე თავისუფლათ მენახა პოლიტიკური პატიმრები, როგორც მოსკოვშიო".

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. როდესაც მას ტფილისში საბჭოთა მოსამსახურეების კავშირში ცენტრალურ კომიტეტში მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და ჩააბარეს კავშირის ბილეთი, როგორც საპატიო წევრს, მან აცრემლებული თვალებით აღელვებული უპასუხა, რომ „ინგლისის მუშების წარმომადგენლები გრძნობენ თავის თავს არა მასწავლებლებად არამედ მოწაფეებად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ძმათ. რუსეთის მუშებმა დაგვანახეს ჩვენ როგორ უნდა მოვკიდოთ ხელი საქმეს, რომ დავამხოთ კაპიტალისტური წესწყობილებაო" და თან დაუმატა „რომ ინგლისში დაბრუნებისას მე ვალდებულათ ვსთვლი თავს დაგეხმაროთ ყველაფრით თქვენ და პირველ მიტინგზე ამის შესახებ მივმართავთო ჩემს ამხანაგებსო."

ყველაფერი ეს ჩვენ მოვიყვანეთ, რათა თვით მკითხველმა თავისი თვალით დაინახოს ტერნერის პირმოთნეობა და ორპირობა.

საბჭოთა კავშირში ის ლაპარაკობს ერთს, ინგლისში სრულიად წინაამდეგს. თავისი უპასუხისმგებლო მოქცევით, თაღლითობით და ორპირობით მან მოატყუილა საბჭოთა კავშირის მშრომელნი და ეხლა ატყუებს ინგლისის მუშებს. ტერნერი საზიზღარი მშიშარაა, მან შეუშინდა ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების შეტევას და მყისვე იცვალა ფრონტი. მაგრამ ნუ გონია მას, რომ ამით ის რაიმეს მიაღწევს. სწორედ ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნისა ის ხოტბას ასხამდა კომუნისტებს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ხოლო ინგლისში დაბრუნებისას ილაშქრებს ამათვე წინაამდეგ, სრულიად ააშკარავებს მის გამყიდველურ ბუნებას როგორც მშიშარასა და მატყუარასი.

ინგლისის მუშები თვით მიხვდებიან თუ რას წარმოადგენს ეს ვაჟბატონი. ჩვენ კი ვიტყვით, რომ მით უკეთესი თუ ასეთი სულ-მოკლე, გათახსირებული ელემენტი დაშორდება მებრძოლი რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგებს. ჩვენ გვწამს, რომ ასეთი ხალხი, როგორც პერსელი და ბრამლია სრულიად არ დაღონდებიან ასეთი „დიდი" კაცის დაკარგვით და უფრო მტკიცედ განაგრძობენ თავის დაწყებულ საქმეს.

ვერავითარი ჯონ ტერნერი მსგავსი მშიშარები და მატყუარები ვერ შეუშლიან ხელს ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების დაახლოებას და საერთაშორისო პროლეტარიატის რიგების გაერთიანებას რევოლიუციონური ბრძოლის წითელ დროშის ქვეშ კაპიტალიზმის წინაამდეგ.

**ლ. ჩ.**




## მე-6—სე ლეგიონის ცხოვრებიდან.

ლეგიონს, ამ უახლოეს ხა-
ბში მომხდარ ცვალებად შე
დგენლობის მიწერით, სრუ-
ი შემადგენლობა ყავს აყვა-
ლი აღრიცხვაზე. რომ ახლად
სულს არმიელებში შევსძლოთ
ინდა მხედრული სულის გან-
ტკიცება ლეგონის მთავარი ყუ-
ადღება მიქცეულია სამხედრო
ლოვნების შეთვისება გაძლიე-
ებისაკენ და პარტ-პოლიტ კუ-
ტ-საგანმანათლებლო მუშაო-
ს გაღრმავებისაკენ.

**სამხედრო საქმე.**

**სამხედრო მეცადინეობა** სა-
რველ დონეზე არის დაყენე-
ლი; კადრში მყოფ წითელ
მიელებთან სწარმოებს სის-
მატიურად მეცადინეობა რა-
ც წითელი არმიელები დიდი
ლისით ეკიდებიან. გამონაკ-
ის შემთხვევებში ქონდა ად-
ლი უდისციპლინობას, მაგ-
მ სა-ხკომის ან ლეგ თავის
ქმედებით სასწრაფოდ იქნა
მოსწორებული

**პარტ—მუშაობა.** ადგილო-
ივად არსებობს ორი კომუ
ედი. აღრიცხულია ყველა
რტ-ამხანაგები. კრებები ს. ს-
მატიურად ეწყობა. ხშირად
ა კრებებიც იმართება რო-
ლზედაც კეთდება მოხსენ ბე-
ბი—როგორც სხვა და სხვა
ოლიტ თემებზე აგრეთვე ყო-
ცხოვრების საკითხებიდანაც
რტ—დავალებებში.
მოხსენების სახით, დიდ აქ
ივობას იჩენენ როგორც მე-
ურთა, ისე წითელ არმიელ
შემადგენლობიდან. კომუ
ედს დამოკიდებულება აქვ
ოქალაქო პარტუჯრედებთან,
ც ხასიათდება ურთიერთ შო-
ს წარმომადგენლების დას-
ებით და ყოფაცხვრების სა-
თხებზე სჯა ბაასით.

**პარტ-განათლება.** ლეგიონ-
დაარსებული იქნა პარტსკო-
, რომლის მსმენელებლად
ერილია ყველა პარტ-ამხანა-
ი. მეცადინეობა სწარმოებს
რმალურად. მთავარი ყურა-
დღება ექცევა პარტიის ისტო-
რიის ვრცლათ შეთვისებას ლე
ნინიზმთან დაკავშირებით.

**პოლიტ—საათები.** მიმდინა-
რეობს ყველა ასეულში სისტე-
მატიურად. კვირაში ორჯერ
იმართება პოლიტ-ხელების წი-
ნასწარი თათბირი—ხთება პო-
ლიტ-თემის გაშუქება საკომ-
პლექსო საგნების გადამუშა-
ვებით. ასეულებიდან გამოყო-
ფილია ცალკე ათის თავები
პოლიტ-საათის სამაცადინოთ
რომლებთანაც უფრო ღრმათ
სრული კომპლექსის ჩატარებით
მიმდინარეობს მეცადინეობა.
დიდ აქტივობას იჩენენ წითელი
არმიელები და კარგათ ითვისე-
ბენ, საუბრებს ეს გარემოება
მოგვცემს საშუალებას გამოვი-
ყენოთ ეს ამხანაგები ახლად
მოსულ მოუმზადებელ ამხანა-
გებისათვის. ხელს გვიშლის მე-
ცადინეობისათვის ტეხნიკური
მხარეების ნაკლულევანებანი,
რაც ალბად მალე მოგვარდება.

4) **პოლიტ—ულტ საგანმანა თლებლო მუშაობა.** ლენინის
კუთხეებში გამოფენილია სარე-
კომენდაციო წიგნების სიები,
ლენინიზმის შესასწავლი მასა-
ლებისათვის. შეძლების დაგვა-
რათ სისტემატიურად ეწყობა
წიგნების გამოფენა. ყოველ დღე
იმართება თავისუფალ საათებში
ხვა და სხვა პოლიტ—საუბ-
რები და ხმა მაღალი კითხვა-
ბაასი ჟურნალ გაზეთებიდან, რა-
შიდაც დიდ აქტიურობას იჩე-
ნენ წითელი მეთაურებიც.

**საკლუბო დარგი.** მუშაობა
აქაც ნორმალურად მიმდინარე-
ობს, დაარსებულია 5 წრე. უფ-
პოლიტ შემადგენლობა და გან-
საკუთრებით კი წითელ—არმი-
ელთა შემადგენლობა ჩაბმულია
წრეების მეცადინეობაში. საკუ-
თარი ძალებით იმართება სის-
ტემატიურად საღამოები რევო-
ლიუციონური ინსცენიროვების
დადგმის თანჩართვით. ტეხნიკუ
რი მხარეების გაუმჯობესების
მხრივ აქაც ცუდათ არის სა-
ქმე.

**ბიბლიოთეკა—სამკითხველო.**

სამკითხველო კარგათ არის
წყობილი. განსაკუთრებულ
ადღებას იპყრობს სამკით-
ლოში მოწყობილი სხვა და
კუთხეები სარეკომენდა-
სიებით და წიგნების გამო-
ით, ყოველ დღესასწაულე-
ეწყობა სათანადო პლაკატე-
, სარეკომენდაციო სიების
და ლიტერატურის გამოფენა.
ხშირად იმართება ხმა მაღალი
კითხვა—საუბარი, რასაც წითე-
ლი—არმიელები ძლიერ ეტანე-
ბიან. მკითხველები ბევრია. ლი-
ტერატურის მხრივ დანაკლისი
დიდია და საჭირო არის ყურა-
დღების მიქცევა.

ვ. ლორთქიფანიძე.

## საერთო კრება I-ლ ლეგიონში.

15 თებერვალს შესდგა 1-ლ ათასეულის, ლეგიონის სკო-
ს და ბატარეიის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში
გა მოხსენება გასული წლის ქ. თბილისის და მისი მაზრის
ე საბჭოს მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა საბჭოს
რმა ამხ. ბაახიამ. მან დაწვრილებით განუმარტა კრებას სა-
ის 10 თვის მუშაობა. მომხსენებელმა პირველად მოიყვანა
ტისტიკური ცნობები, საბჭოს სხდომებისა და დეპუტატე-
დასწრების შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა სა-
ის პრეზიდიუმის და მისი სექციების ენერგიული და გეგ-
ნი მუშაობა ყოველ დარგში, აგრეთვე აღნიშნა ბიუჯეტის
ოსავლიანობა და სიმტკიცე, ავჭალის ჰიდრო ელექტ-
სადგურზე დახმარების გაწევა.
საშინაო საკითხის მოგვარების გარშემო მუშაობა და სხ.
ამხ. ნაგი შეეხო აგრეთვე თფილისის საბჭოს დახმარებას
ლისში მდგომ ჯარის ნაწილებისადმი, რაც გამოიხატებო-
მეთაურებზე საცხოვრებელი ბინების აღმოჩენის დახმარებაში
სხვა.

სამხკორი შ. კვინიკაძე.

## ამხ. ორჯონიკიძე მეთაურთა სკოლაში.

12 თებერვალს ჩვენი მეთაურთა სკოლა ინახულა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. ამ გარემოებამ ძლიერ გაახარა სკოლის კურსანტები.

ამხ. მოსვლისთანავე გაეშურა სკოლის ლაბორატორიებისაკენ და დაიწყო სხვა და სხვა შეკითხვების მიცემა კურსანტებისადმი. ამხ. დიდი ინტერესით და ყურადღებით უსმენდა ყველას. მას ძლიერ აინტერესებდა თუ რამდენად მომზადებული არიან ამხანაგები ამა თუ იმ საგნებში.

შემდეგ ამხ. ჩამოიარა ყველა ასეულები და განყოფილებები. უმთავრეს ყურადღებას აქცევდა კურსანტების ცხოვრების ჰიგიენურ მხარეებს. საერთოდ სკოლით ამხანაგი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

იმედია არც შემდეგში დაგვივიწყებს წითელი არმიის ერთი ხელმძღვანელთაგანი და ხშირად მოგვინახულებს.

კ. შ.—პაპიძე.

## განწესებაში გაყვანას ძლიერ აგვიანებენ.

მეოთხე ქართულ საგაუბიცო ბატარეიაში დიდი ხანი არ არის რაც მორიგე მეთაურებად ინიშნებიან საარტილერიო ლეგიონიდან.

ამხანაგები თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ მაინცა და მაინც პირნათლად, არ ვიცი რატომ და ამხ. ძლიერ აგვიანებენ წითელ არმიელების განწესებაში გაყვანას. გუშაგებს ზედმეტი საათები უხდებათ გაჩერება და დიდი უკმაყოფილება აქვს ადგილი. მეორე მხრივ განწესებაში გასაყვან ამხანაგებსაც დიდ ხანს უხდებად ცდა, მორიგე მეთაურის მოლოდინში.

თუ ჩვენივე ბატარეიის მორიგე მეთაურები თავის დროზე ახდენდენ განწესების გაყვანას, ნუ თუ ამ ამხანაგებს არ შეუძლიათ ასევე მოიქცენ?

საჭიროა თავის დროზე იქნენ საგუშაგოზე მდგარი ამხანაგები გამოცვლილი. მორიგე მეთაურებისათვის ეს არ წარმოადგენს ძნელ საქმეს და საჩქაროდ უნდა იქნეს გამოსწორებული ეს დაუდევრობა.

წ. არმ გრ. ბარათაშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## საგარნიზონო პარტკრება.

ხუთშაბათს, 12 თებერვალს, მოწვეულ იქნა ქუთაისში მყოფ ქართულ ნაწილების საერთო პარტ-კრება. კრებას დაესწრო ყველა ნაწილების როგორც უფ-პოლიტ შემადგენლობა ისე წითელ-არმიელებიც.

მოსმენილი იქნა ამხ. ადამაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მომხსენებელი თავის ვრცელი მოხსენებაში შეეხო დღევანდელ მდგომარეობას ბურჟუაზიის ქვეყნებში და განსაკუთრებით შეჩერდა ინგლისისა და საფრანგეთის მდგომარეობაზე.

შემდეგ გადავიდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ფრონტების გაძლიერებაზე და სხვა. მოხსენება მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო. იყო მრავალი შეკითხვებიც. შემდეგ კი გაიმართა კამათი.

მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია. მიმდინარე კითხვებში არაფერი გარჩეულა.

ა. ჭკადუა

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**ტფილისის მაზრაში.**

— **საგარეჯოს თემშ**, საგარეჯოს თემში საბჭოთა არჩევნები ჩატარდა დიდის წარმატებით. არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა მთელი მოსახლეობა. 484 ამომრჩევლიდან ყველანი გამოცხადდენ არჩევნებზე. მათ შორის 188 ქალი იყო.

— **ყარაიაზის თემი.** სათემო საბჭოს არჩევნები დასრულდა. ამორჩეულია სამი სასოფლო საბჭო. არჩევნები ყველგან დიდის ინტერესით ჩატარდა.

**არჩევნების ხელმძღვანელოდ.**

შრომის სახ. კომისარი, ამხ. მიქაძე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში საბჭოთა არჩევნების სახელმძღვანელოთ.

**რაჭის მაზრაში.**

მთელ რაჭის მაზრაში არჩევნები ჩატარდა დიდის აღფრთოვანებით. არჩევნები მოხდა 11 თებერვალს.

**სათემო საბჭოები.**

რაჭის მაზრაში სულ არჩეულია 29 სათემო და 2 სასოფლო საბჭო.

**არჩეულები.**

სულ რაჭაში არჩეულია 788 დეპუტატი. მათ შორის 59 ქალია 157 კომუნისტი, 44 კომპ. კანდიდატები და 66 ახკომკავშირელი.

## ამბები სოფლებიდან

**თიანეთში.**

თიანეთის გლეხკომს გახსნილი აქვს ხე-ტყის სახერხი მოტორიანი ქარხანი, რომელიც იძლევა აგრეთვე გასანათებელ ელექტრო-ჩქერსაც.

**ბორჩალოს გლეხკომებში.**

ბორჩალოს მაზრის გლეხკომებში შედიან 20 ქალი, 40 ახკომკავშირელი და 20 ს. კ. პ. წევრები.

**ინვალიდთა არტელი.**

საჩხერეში დაარსდა ინვალიდთა არტელი „არარატი", რომლის მიზანიცაა მიაწოდოს მოსახლეობას პირველ მოთხოვნილების საგნები ხელმისაწდომ ფასებში.

**ფიზკულტურისათვის.**

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა ჰიათურის ყოფ. კინოს შენობა გადააკეთოს ახკომკავშირელთა საჭიროებისათვის ფიზკულტურის დარბაზათ.

**გზების და ხიდების შეკეთება.**

წარსული წლის განმავლობაში ბორჩალოს მაზრის გლეხკომებს შეუკეთებიათ 45 ხიდი, წყაროები და 70 ვერსის საერთო სიგრძის არხები.

**მეფუტკრეობის კურსები.**

წარმოკავშირმა გადასწყვიტა სოფ. წრომაში (გორ. მაზრა) გახსნას კოოპერატიული კურსები და მოაწყოს მეფუტკრეთა ამხანაგობა.

## შინაურ საქონლის და კაცის გადამდები ავათმყოფობანი.

**რამდენნაირი ფორმის შეიძლება იყოს ქოთაო.**

საზოგადოთ გარეგნული და სხვა დამახასიათებელი ნიშნების მხრივ **ქოთაო** სამნაირი ფორმისაა: **ცხვირის, კანის და ფილტვების.** ამ ფორმებს შეუძლიათ ერთი-მეორის ფორმის მიღება და მიღებული ფორმით განვითარება.

**ცხვირის ქოთაოს** დროს ცხენის ცხვირის ლორწოიანი გარსი ფერმიხდილია, ცხვირის ერთი ან ორივე ლრუდან სითხე ჩამოდის, რომელიც პირველად ღიაა, შემდეგ ყვითელი-მწვანე ელფერით-და ბოლოს სქელი და სისხლ და ბალღამ ნარევი. ასეთ ცხენს ცხვირის ლორწოიან გარსზე **ქოთაოს** დამახასიათებელი იარები აქვს, რომლებიც იმითი განირჩევიან სხვა იარებისგან, რომ მათ ვარსკვლავისებურათ გაშლილი კიდეები და ჩარღმავებული თეთრი ქონისებური ძირი აქვთ. ამ იარებთან ერთად ცხვირის ლორწოიან გარსზე ხშირად კვანძებსა და ჭდეებსაც ადგილი აქვთ.

კვანძები-ეს ახალი იარების დასაწყისია, ხოლო ჭდეები-მორჩენილი იარებია. ცხვირის ლორწოიან გარსზედ, იარების გაჩენასთან ერთად, ცხენს უსივდება ყბა-ქვედა ჯირკვლები, რომლებიც მაგრები და უმტკივნელონი არიან.

ჩამოთვლილი ნიშნები ხან ძალიან გამოჩენილი არიან, ხან სუსტად და ნაწილობრივად. ხან ისეთ მოვლენასაც კი აქვს ადგილი. რომ ცხენი ქოთაოიანია და ქოთაოს გარეგნულ ნიშნებს კი ცხენის მთელს ტანზედ არსად ადგილი არა აქვს.

თავდაპირველად, ე. ი. ქოთაოთი ავადგახდომის დასაწყისში, ცხენი ჯანსაღად გამოიყურება და მხოლოდ შემდეგში ეკარგება მას ჭამის მადა. სუსტდება, ახველებს, ხდება, ტანის ზოგიერთი ნაწილები უსივდება, ბალნის ბზინვა ეკარგება და ბოლოს უზომოდ გახდარი კიდევაც კვდება.

**კანის ქოთაო** გამოიხატება ცხენის კანში და კანქვეშა ქსოვილში კვანძების გაჩენაში და შემდეგ მათ იარებად გადაქცევაში. თითოეული კვანძი სიდიდით ტყის თხილის ოდენაა და კანის საზოგადო მტკივნეულოვან გასივებას იწვევს. ასეთი კვანძები უჩნდება ცხენებს კიდურებზე, მკერდზე, ბეჭებზე, მუცელ ქვეშ, თეძოების შიგნითა ზედაპირზე, კისრის გვერდებზე და გავაზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს კვანძები რბილდებიან, სკდებიან და **ქოთაოს** დამახასიათებელ იარებად იქცევიან. ეს იარები ბოლოს კიდურების სქესობრივი ჯირკვლების და სხეულის სხვა ნაწილების გასივებასაც იწვევენ.

**ფილტვების ქოთაო** სენის გავრცელების მხრივ დანარჩენ ფორმებზე უფრო საშიშ ფორმას წარმოადგენს. ამ ფორმას თანდათანობითი გამხდრობის, ხველების და ქოშინის მეტი არაფერი არ ახასიათებს, რის გამო ამ ნიშნების საშუალებით **ქოთაოს** გამოცნობა, სხვა გარეგანი ნიშნების უქონლობის დროს, ძალიან ძნელია. ეს საწუხარო სინამდვილე ხშირად შეძლებას აძლევს **ქოთაოიან** ცხენს დიდი ხნობით გამოუცალკევებელი დარჩეს ნაწილში და სხვა ცხენებს **ქოთაო** გადაადვას.

**ქოთაოს** თითეული ფორმა შეიძლება გაგრძელდეს დიდი ხნობითაც და, როგორც ზევითა გვაქვს ნათქვამი, ერთი მეორის ფორმა მიიღოს.

გარდა ამ ჩამოთვლილ ფორმებისა, რომელთაც უმეტეს ნაწილად განიადაგებული ხასიათი აქვთ, არის კიდევ **სწრაფი ფორმის ქოთაო.** ეს ქოთაოც იმ ნიშნებითვე ხასიათდება,

რომლებითაც ცხვირის და კანის ქოთაო, მაგრამ იმ გარჩევით, რომ სწრაფი ქოთაოს დროს ეს ნიშნები განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდებიან და ცხოველს 8—14 დღეში სიცოცხლეს უსპობენ.

ანატომიური სურათი ქოთაოთი მკვდარი ცხენისა არის ის, რომ ქოთაოს დამახასიათებელი იარები და კვანძები გავრცელებული არიან უმეტეს ნაწილად ცხვირში, ხორხში, სასულე მილში, ბრონხებში ლიმფატიურ ჯირკვლებში და ფილტვებში.

ქოთაოიანი ცხენის ფილტვებს რომ ხელი გადაუსვათ, მუხუდოთი გავსებული გეგონებათ. ქოთაოს კვანძები ხვდებიან აგრეთვე ელენთაში ანუ ტყირპში, წელებში, ძვლებში და სხვაგან.

ვეტექიმი **ფარეიშვილი.**

## უბედური შემთხვევა ყუმბარისაგან.

13 თებერვალს ქუთაისის ახლო-მახლო სწარმოებდა არტილერიის სამოსწავლო სროლა. სროლის შემდეგ სოფელ ღვიშტიბის მცხოვრებმა შვანგირაძემ იპოვნა გაუხეთქელი გასროლილი ზარბაზნის ყუმბარა. წაიღო სახლში და დაიწყეს დათვალიერება, ამ დროს ყუმბარამ იფეთქა და დაშავდა 5 სული. შვანგირაძის დედა მიღებული ჭრილობებიდან გარდაიცვალა. დანარჩენები გაგზავნეს საავათმყოფოში.

## ახალი ამბები.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** 1922 წელში საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტი დაასრულა 92 კაცმა. 1923 წელს 192 კაცმა და 1924 წელს კი 144. სულ უნივერსიტეტს გამოუშვია 365 უმაღლეს სწავლა მიღებული კაცი.

— **სესხი გლეხობას.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატმა 1924 წლის განმავლობაში კვალვით დაზარალებულ გლეხობას დაურიგა სესხათ 115 ათასი მანეთი.

— **„საქართველოს ეკონომისტი."** საქ უმ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ეკონომიური ხასიათის ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი". ჟურნალის გამოსაცემ საშუალებათა გამოსანახავათ მოწვეულია ცალკე თათბირი.

— **მუშათა კოოპერაცია საქართველოში.** მუშათა კოოპერაციას საქართველოში, გარდა ტფილისისა აქვს 88 დუქანი 13.163 წევრით და 28.163 ძირითადი თანხით.

— **ცენტრ. აღმშენებლობაში.** ცენტრალური აღმშენებლობის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა მუშ. საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტს, გაისტუმროს მისი ვალი აღმასკომისა, კომუნალური ბანკისა და სრ. რუს. კოოპ. ბანკისადმი, რაიც უდრის 157.185 მანეთს.

— **შაქრის შეძენა.** წარ. წლ. ოქტომბერ-ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში ცეკავშირმა შეიძინა 91.334 მანეთის შაქარი.

— **მუშათა მდგომარეობის გამ უჯობესებელ კომისიაში** საქ. უმაღლ. ეკ. საბჭოს თავის წარმომადგენლათ დანიშნა ამხ ქოქოკიშვილი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**უკუდო ჰაეროპლანი.**

რაღაც თავისებურ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე, ერთად ერთი უკუდო ჰაეროპლანი, რომელიც დამზადებული იქნა ვილაკუბლეის სამხედრო ჰაეროდრომზე (საფრანგეთი.) მეტის მეტად გამძლე საჭი მიმაგრებული აქვს აღნიშნულ ჰაეროპლანს ფრთების უკან.

ჰაეროპლანი გამოსცადეს ქარიშხალის დროს, და აქაც დიდი გამძლეობა გამოიჩინა.

**გერმანული სისტემის ახალი სამგზავრო ჰაეროპლანი.**

გერმანიის საჰაერო გზებს ამ ჟამად შეეძინა მშვენიერი სამგზავრო ჰაეროპლანების-ფოკერ-ვულფის-მთელი წყება. აპარატი დამზადებულია ოთხი მგზავრისათვის, რომელთა რიცხვში შედის თვით მფრინავიც. აპარატი აღჭურვილია მცირე სიდიდის 75 ცხენის ძალის მამოძრავებლით. ის მთლიანად დამზადებულია ხისაგან და თავისუფლად შეუძლია ფრენა. ფრთების სიგრძე უდრის 17 მეტრს. თვით აპარატის სიგრძე კი—8 ნახევარ მეტრს. სიმაღლე 2 მეტრს და სხვა.

მფრინავისათვის დასაჯდომი ადგილი მოთავსებულია ფრთების წინა მხარისაკენ და მშვენივრად შეუძლია ირგვლივ თვალდევნის წარმოება. მიუხედავათ მოტორის მცირე ძალიანობისა, აპარატი მაინც შესანიშნავი ხარისხისაა ფრენისთვის. ცარიელი აპარატის სიმძიმე აღწევს—630 კილოგრამამდე. ფრენის სიჩქარე საათში 150 კილომეტრი.

**სიყვითლის მორჩენა რენტგენის სხივებით.**

სიყვითლის გამომწვევ მიზეზებათ ითვლება ნაღვლის ბუშტის დაავადმყოფება, რის გამო ამ ბუშტის მიერ გამომუშავებული ნახველი არ ჩადის ნაწლევებში და სისხლს გააქვს მთელ ორგანიზმში. აქედან კი მიიღება ისეთი დამახასიათებელი სხეულის კანისა და თვალების ყვითელი ფერი, როგორიც ახასიათებს სიყვითლეს.

ამ ჟამად ერთი გერმანელი ექიმი შემზე წარმატებით არჩენს სიყვითლეს ე. წოდებული რენტგენის სხივების საშუალებით. ამისათვის ის მთელი წლის განმავლობაში აქიმობს ნაღვლის გამომუშავებელ ორგანოს ამ სხივებით და შესაფერ შედეგებსაც აღწევს.

**ქვა ნახშირის უდიდესი ჩანაწოლი.**

მანჩჟურიის (ჩინეთი) სამხრეთ ნაწილში ქ. მუკდენიდან 35 მილის დაცილებით მუშავდება ქვა ნახშირის უდიდესი ჩანაწოლი მთელ მსოფლიოში. ნახშირი იმყოფება სამი საჟენის სიმაღლეზე და მისი ჩანაწოლის ფენის სისქე აღწევს 60 საჟენის სისქემდე. ქვა ნახშირის მთელი მარაგი ამ ადგილში აღწევს 72 მილიარდ ტონამდე. (ჩვენში კი მაგალითად ტყვარჩელში არსებულ ქვა ნახშირის მარაგი 13 მილიარდ ტონს უდრის ტყიბულში კი გაცილებით უფრო ნაკლებია).

ამ ჟამად აქ ყოველ დღიურად ამოაქვთ 12 ათასი ტონა, წლიურად კი 3.500.000 ტონა. ქვანახშირის ზედა ფენა უკვე გაშიშვლებულია და პირდაპირ იღებენ მას.

ამასთანავე ერთად გაკეთებულია მაღაროებიც. თუ რამდენად გრანდიოზული ხასიათის მუშაობაა გაჩაღებული ხსენებულ ადგილში აშკარად სჩანს იქიდან, რომ ამჟამად იქ განუწყვეტლივ მოქმედებას-35.000 მუშა ხელი.

## წითელი არმიის შვიდი წლის თავი.

(თ ე ზ ი ს ე ბ ი).

1. 1925 წლის 23 თებერვალს წითელი არმია დღესასწაულობს თავისი არსებობის მეშვიდე წლის თავს. ეს დღე მთელი საბჭოთა კავშირის დღესასწაულია, რადგან ჩვენი მუშურ გლეხური წითელი არმია—ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილია.

წითელი არმია მუშების და გლეხების დაუძლეველი სოლიდარობის გამოხატულებაა, ის მათი მებრძოლი ორგანოა, რომელიც ამტკიცებს ოქტომბრის მონაპოვართ.

ყველგან, სადაც ხალხი აჯანყებას იწყებდა თავისი ჩაგვრელების წინააღმდეგ, წითელი არმია მიეშურებოდა მუშების და გლეხების დასახმარებლათ.

მთელი წლების განუწყვეტელმა ბრძოლამ სხვა და სხვა ფრონტზე დაამტკიცა წითელი არმიის და საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ბრძოლის უნარიანობა.

კაპიტალისტური მტაცებლების რკინის რკალმა, რომელიც მჭიდროთ შემოვლებული ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკებს და დაღუპვით ემუქრებოდა მათ, გააერთიანა ყველა მშრომელები და ეს მთლიანობა გახდა იმ ურყევ ძალათ, რომელსაც უშედეგოთ ეხეთქებოდა მრავალ მილიონიან მტრების იერიში.

წითელი არმიის შვიდი წლის ისტორია არის ისტორია მუშათა კლასის შეიარაღებული ბრძოლისა პროლეტარული რევოლიუციისათვის.

**წითელი გვარდია**

2. მუშათა კლასის შეიარაღება დაიწყო თებერვლის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე. კერენსკის ბატონობის ხანაში გამწვავებული კლასთა ბრძოლა იწვევს ერთის მხრივ კლასიური შეიარაღებული ძალის შექმნას კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ (დამკვრელები, იუნკრები, გიორგის ჯვრის კავალერები და სხვა).

მეორეს მხრივ, პროლეტარიატი, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, აწყობს თავის მუშურ წითელ გვარდიას. წითელი გვარდიის შექმნა მეტად მძიმე პირობებში ხდება, მას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ კერენსკის მთავრობა და შეთანხმებელი მენშევიკური საბჭოები.

ოქტომბრის გადატრიალება წითელი გვარდიის და დაშლილი ძველი არმიის ნაშთების საქმეა. ამ დროისათვის წითელი გვარდია პეტროგრადში აღწევს 12—14 ათას კაცს. წითელი გვარდიის რაზმები ეწყობა ყველა მუშათა რაიონებში.

მუშური წითელი გვარდია ამოსცხებს შინაური კონტრ-რევოლიუციის ძალებს ცენტრში (პეტროგრადთან წამოყვანილი იქნა ტყვეთ კრასნოვი), შემდეგ კი განაპირა კუთხეებშიც, როგორც, მაგალითად, კურსკის გუბერნიაში დამარცხებული იქნა 6 ათასი კორნილოველისაგან შემდგარი რაზმი. დაკავებული იქნა კიევი, ორენბურგი და როსტოვი.

**რეგულიარული წითელი არმია.**

3. პროლეტარიატის ძლევამოსილი რევოლიუცია ხიფათს უმზადებდა საერთაშორისო ბურჟუაზიას. დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები იწყებენ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას და შეიარაღებულ დახმარებას უწევენ შინაურ კონტრ-რევოლიუციას. რეგულიარული წითელი არმიის შექმნის საკითხი საარსებო საკითხათ გახდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ბრესტში დათმობაზე წასვლით საბჭოთა ხელისუფლებამ დროებითი შესვენების საშუალება მიიღო და ამის შემდეგ დაიწყო მტკიცე წითელი არმიის მოწყობა. პირველი ნაბიჯი იყო ამ მხრივ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი წითელი არმიის მოწყობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1918 წლის 15 28 იანვარს და გამოქვეყნებული იქნა 23 თებერვალს—წითელი არმიის დაარსების დღეს.

4. პირველ ხანებში წითელი არმია შესდგებოდა მოხალისეებისაგან, რადგან იმ პირობებში, როდესაც ირღვეოდა მეფის მთავრობის არმია, როდესაც იწყებოდა საბჭოთა აპარატი და მუშათა მასები მრავლათ მიდიოდენ არმიაში, საჭირო არ იყო იძულებითი ზომების მიღება.

უცხო სახელმწიფოების ჯარების ჩარევა ჩვენს საქმეებში ძლიერდება. ინგლისელებმა და ფრანგებმა დარაზმეს ჩეხო-სლოვაკები, რომლებმაც შეტევა დაიწყეს 1918 წლის მაისში და დაიპყრეს მდინარე ვოლგის ყველა სანაპირო რაიონები; ამის შემდეგ ისინი ცენტრზე გალაშქრებას აპირებდენ. ინგლისელებმა და ამერიკელებმა თავისი ჯარები გადმოსხეს არხანგელსკში. ქვეყნის შიგნით ძლიერდება კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულებები და აჯანყებები. საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის დაცვის მიზნით გადადის მობილიზაციაზე კლასიური ნიშნის მიხედვით.

პირველი მობილიზაცია ჩატარებული იქნა 1918 წლის 12 ივნისს. კომუნისტების, პროფკავშირების წევრების მობილიზაციამ მუშათა კლასის საუკეთესო ძალები შემატა წითელ არმიას, მთელი საბჭოთა რესპუბლიკა ერთ სამხედრო ბანაკათ გადაიქცა.

**კოლჩაკის დამარცხება.**

5. 1918 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში აღებული იქნა ყაზანი, შემდეგ სიზრანი. ამავე წლის ბოლოს უფას და ორენბურგის დაკავებით წითელი არმია იპყრობს მდინარე ვოლგის ყველა სანაპირო რაიონებს და უერთდება წითელ თურქესტანს.

არხანგელსკიდან განდევნილი იქნენ ინგლისელები, ამერიკელები, თეთრგვარდიელები. შინაური შეთქმულებები მოსპობილია. უკრაინაში გაანდევნეს პეტლიურა და 1919 წლის დასაწყისისათვის საბჭოთა ხელისუფლება აღდგენილია მთელს უკრაინაში (კიევი საბჭოთა ჯარების მიერ აღებული იყო 5 თებერვალს, ოდესა 7 აპრილს).

6. 1919 წლის გაზაფხულზე კოლჩაკი მთელს აღმოსავლეთ ფრონტზე იწყებს შეტევას დიდი არმიით, რომელშიაც შედიან ჩეხო-სლოვაკების, ფრანგების, ინგლისელების, იტალიელების და იაპონელების საოკუპაციო ჯარები. სიმბირსკის დაკავებით კოლჩაკი დაემუქრა სამარას და ყაზანს, მაგრამ წითელმა არმიამ რომელიც შევსებული იქნა ახალი ძალებით, დაიწყო შეტევა მთელს ფრონტზე და დაამარცხა რა მოწინააღმდეგე, დაიკავა უფა, პერმი და ეკატერინბურგი; შემდეგ ის ხელახლა შეუერთდა თურქესტანს და ბოლოს, აიღო ომსკი—კოლჩაკის სატახტო ქალაქი. 1920 წლის 7 თებერვალს კოლჩაკი დაპატიმრებული და დახვრეტილი იქნა.

**ბრძოლა დენიკინთან.**

7. როცა აღმოსავლეთით წითელი არმია ბრძოლას აწარმოებდა კოლჩაკთან, სამხრეთით ანტანტამ დარაზმა ყაზახთა ოფიცრები, რომლებიც გადმოვიდენ შეტევაზე 1919 წლის მაისში დენიკინის მეთაურობით. ამას ემატება გრიგორიევის და მახნოს აჯანყება უკრაინაში, დენიკინი იკავებს ცარიცინს, კურსკს, ვორონეჟს, ორიოლს და წინ მიიწევს მოსკოვისაკენ. მაგრამ ოქტომბერში შესდგა ბუდიონის ცხენოსანი ჯარი. რომელიც სასტიკად ამარცხებს მამონტოვის 12 პოლკს, წითელი არმია გადადის შეტევაზე, უკანვე იბრუნებს ორიოლს, ვორონეჟს და დანარჩენ ქალაქებს სამხრეთით როსტოვამდე და შემდეგ იკავებს მთელ ჩრდილოეთ-კავკასიას. თებერვალში წითელი არმია იკავებს ოჩაკოვს, ხერსონს, ოდესას. დენიკინელების ნაწილი გვანებდება, ნაწილი გადადის პოლონეთ-რუმინეთის საზღვარზე, ხოლო ერთი ნაწილი სლაშჩევის მეთაურობით მაგრდება ყრიმში, სადაც შემდეგში მის სარდლობას კისრულობს ვრანგელი.

**ბრძოლა იუდენიჩთან.**

8. 1919 წლის ბოლოს დაიწყო იუდენიჩის არმიის შემოტევა ჩრდილოეთ-დასავლეთით. პირველად წითელი არმია ვერ იგერიებს იუდენიჩის თავდასხმას, რომელსაც დახმარებას უწევს ანტანტა და იუდენიჩი უახლოვდება პეტროგრადს. მე-7-ე არმია, შევსებული ახალი ძალებით, გადადის შეტევაზე და 23 ოქტომბერს წითელი არმია იკავებს „დეტსკოე სელოს". მტერი უკან იხევს.

**თეთრი პოლონეთის თავდასხმა.**

9. საფრანგეთის მორჩილი პანების პოლონეთი სარგებლობს დასავლეთის საზღვარის სათანადო გაუმაგრებლობით და 1920 წელს გაზაფხულზე გადმოდის შეტევაზე რამოდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ იდება დროებითი ზავი და საბჭოთა რესპუბლიკას უერთდება ტერიტორია 50 ათასი კვადრატიული ვერსის სივრცით და 4 მილიონ მცხოვრებით.

**ვრანგელის დამარცხება.**

10. იმ დროს, როცა წითელი არმია იგერიებდა პოლონელებს, ყრიმიდან მოემართება ახალი საფრთხე. 1920 წლის ივნისში იწყება ვრანგელის შემოტევა. როცა პოლონეთთან დაიდო დროებითი ზავი, სამხრეთით გადაყვანილი იქნენ წითელი არმიის დიდი ძალები, წითელი არმია ამარცხებს ვრანგელს და ათავისუფლებს ყრიმს.

ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ წითელ არმიას უხდება კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში სხვა და სხვაგვარ ბანდიტურ შაიკების: ბულაკ-ბალახოვიჩის, უკრაინელ „ბატკების" და სხვების ლიკვიდაცია.

**წითელი არმია ამიერ-კავკასიაში.**

11. 20—21 წლებში წითელი არმია ყოფილი მე-11-ე არმიის ძალებით ეხმარება აზერბეიჯანის, სომხეთის და შემდეგ საქართველოს მშრომელებს ხელისუფლების სათავეში მდგომი მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატების—მუშათა კლასის გამცემლების, რევოლიუციის მოღალატეების დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების ლაქიების ბატონობის დამხობაში.

**რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.**

**კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე